☆

I. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: მასობრივი კომუნიკაცია (Mass Communications);

II. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი (PhD in Mass Communications)

III. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო პროგრამებისა (სასწავლო კომპონენტი) და სამეცნიერო კვლევების (კვლევითი კომპონენტი) ერთობლიობას და იგი მოიცავს 180 კრედიტს.

IV. სწავლების ენა: ქართული

V. სადოქტორო პროგრამის მიზანი: სადოქტორო პროგრამის მიზანია მასობრივი კომუნიკაციის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული, ინტერდისციპლინური მიდგომით კვლევა, თანამედროვე მედიის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით ახალი ცოდნის და მეცნიერული გამოცდილების შექმნა, მედიის და მასკომუნიკაციის სისტემების არსში წვდომა, შესაბამისი წინადადებების შემუშავება და განვითარების პერსპექტივების დასახვა.

პროგრამა აგებულია ორიგინალური კვლევის მოქნილობის პრინციპსა და ინტერდისციპლინური გამოცდილების შეძენაზე. პროგრამა ამზადებს მომავალ ლექტორებს და მკვლევრებს ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის მიმართულებით.

დოქტორანტს სემინარებზე შესაძლებლობა მიეცემა სხვადასხვა მიმართულებით გაიფართოოს ცოდნა, გაეცნოს უახლეს მიღწევებს, მოემზადოს აკადემიური საქმიანობისთვის და თავადაც აქტიურად ჩაერთოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, იყოს თვითორგანიზებული და აითვისოს კვლევის წარმართვისთვის აუცილებელი მენეჯერული თვისებები. პროგრამა ფოკუსირებულია კვლევითი უნარების განვითარებაზე;

პროგრამა დოქტორანტს ამზადებს აკადემიური კარიერისთვის. მომავალი მკვლევარი მზად იქნება აკადემიურ სფეროში თავისი კონტრიბუცია შეიტანოს ახალი ცოდნის, ფაქტების ან არსებული ინფორმაციის იმგვარი ინტერპრეტაციით, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება სამეცნიერო საზოგადოებისთვის. პროგრამის ფარგლებში მას შესაძლებლობა მიეცემა იყოს ტუტორი, მკვლევარი-ასისტენტი და ასევე, გახდეს ასისტენტ პროფესორი. დისერტაციის დაცვის შემდეგ მას უნდა შეეძლოს რეფერირებადი საერთაშორისო ჟურნალისა და კონფერენციებისთვის სამეცნიერო პუბლიკაციების წარმოდგენა.

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს ის აუცილებელი თვისებები, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებასთან ერთად ახალი ცოდნის შექმნას და ტირაჟირებას

შეუწყობს ხელს. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში დაიკავოს შესაბამისი თანამდებობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.

VI. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა: მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამაზე მიიღებიან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს: უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით და გასაუბრება სპეციალობაში.

გასაუბრებაზე შეფასდება სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა, რომელსაც წრმოადგენს დოქტორნატურაში ჩაბარების მსურველი (იხ. დანართი N1).

ზოგადი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება: რადგან მუშაობის პროცესში მუდმივად მოიპოვებს და ქმნის უახლეს ცოდნას, კურსდამთავრებულს აქვს ღრმა, საფუძვლიანი და ინოვაციური ცოდნა მის მიერ დამუშავებული თემის შესახებ; ფლობს საფუძვლიან ცოდნას სინთეზური, კვლევითი სტრატეგიების/მეთოდების და მათი გამოყენების პრინციპების შესახებ, რაც მომავალში, აკადემიური და კვლევითი საქმიანობისას გამოადგება დარგთაშორისი, ინტერდისპლინური კვლევების ჩატარებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია საკვლევი სფეროს ადეკვატური სტრატეგიის, კვლევის მეთოდის შერჩევა, გამოყენება, მოპოვებულ მონაცემთა დამუშავება და შესაბამისი ინტერპრეტაცია; შეუძლია ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება; გუნდური კვლევითი პროექტის გაძღოლა და განხორციელება; შეუძლია ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში თანამშრომლობა და ლიდერობა. დისერტაციის დაცვის შემდეგ, შეუძლია საკუთარი სამეცნიერო ნაშრორმის ტირაჟირება მათ შორის, უცხოურ რეფერირებად ჟურნალსა და საერთაშორისო კონფერენციებზე; არის თვითორგანიზებული და აქვს კვლევის წარმართვისთვის აუცილებელი მენეჯერული თვისებები. შეუძლია ცოდნის გადაცემა სპეციალისტების და ფართო საზოგადოებისათვის. შეუძლია აკადემიური პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა. აქვს სრული კომპეტენცია ჩაერთოს სასწავლო პროცესში, მოამზადოს და წაიკითხოს სალექციო კურსები.

დასკვნის უნარი: შეუძლია ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და

ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; აქვს ზოგადსამეცნიერო რეკომენდაციების და დასკვნების შემუშავების უნარი;

კომუნიკაციის უნარი: შეუძლია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო, პროფესიულ და კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე ფართო საზოგადოებასთან პროფესიული კომუნიკაციის დამყარება. აქვს მშობლიურ და უცხოურ ენაზე პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი; შეუძლია ახალი ცოდნის მკაფიოდ წარმოჩენა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე; შეუძლია დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების პრეზენტაცია აკადემიურ, პროფესიულ და ფართო საზოგადოების წინაშე აკადემიური პატიოსნების, კოლეგიალობის, პროფესიული სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უახლეს მიღწევათა გათვალისწინებით;

სწავლის უნარი: აქვს სფეროს უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ახალი შეხედულებების გაცნობის გზების, შესწავლის, ათვისებისა უნარი; უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;

ღირებულებები: შეუძლია ახალი ცოდნის შექმნის გზით, იკვლიოს სფეროსთან დაკავშირებული ღირებულებები და შეიმუშავოს მათი დამკვიდრების გზები. მოწოდებულია, რომ სამეცნიერო საქმიანობისას იხელმძღვანელოს აკადემიური პატიოსნების პრინციპებით და ხელი შეუწყოს აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრებას. აქვს განსხვავებული კულტურების პატივისცემის და გაგების უნარი. კვლევისას იცნობს და იცავს ეთიკური ნორმებს.

დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულს აქვს მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების უახლეს ან/და აქტუალურ მიღწევებზე დამყარებული ცოდნა. ფლობს დარგის კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს. შეუძლია ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის სფეროში არსებული ცოდნის კრიტიკული გააზრება და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული სახით გაცნობიერება; გაცნობიერებული აქვს მედიის და მასობრივი კომუნიკაციების კვლევების როლი საზოგადობრივი ცხოვრების განვითარებაში;

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული საფუძვლიანად იცნობს მასობრივი კომუნიკაციის დარგის უახლეს თეორიული და პრაქტიკული მოდელებს და აცნობიერებს, რომ კონკურენტულ გარემოში მუდმივად საჭიროა არსებული ცოდნის განახლება – ხელახალი გააზრება და ნაწილობრივ გადაფასება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით ინოვაციური კვლევების დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ახლებური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომელიც სფეროს ფარგლებში ახლი ცოდნის და მეცნიერული გამოცდილების შექმნაზეა ორიენტირებული.შეუძლია ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის მულიტიმედია-პლატფორმის ანალიზი, მათი სინერგიული კვლევა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება დარგის განვითარების კუთხით; შეუძლია საუნივერსიტეტო განათლებაში საკუთარი წვლილის შეტანა სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით.

დასკვნის უნარი: შეუძლია სართაშორისო თუ ეროვნულ დონეზე სამეცნიერო საზოგადოებასთან უახლესი სამეცნიერო მიღწევების გარკვევით და დასაბუთებულად წარმოჩენა და თემატურ პოლემიკაში ჩართვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო პუბლიკაციების, მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების და ა.შ. შექმნის გზით.

აქვს მედია-კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; აქვს მასობრივი კომუნიკაციის და მედია–კვლევების მიმართულებით ზოგადსამეცნიერო რეკომენდაციების და დასკვნების შემუშავების უნარი;

კომუნიკაციის უნარი: შეუძლია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო, პროფესიულ და კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე ფართო საზოგადოებასთან და დარგის სპეციალისტებთან პროფესიული კომუნიკაციის დამყარება. ასევე, დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების პრეზენტაცია და ტირაჟიების უზრუნველყოფა საკვლევი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სწავლის უნარი: აქვს მედიის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით სფეროს უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ახალი შეხედულებების გაცნობის გზების, შესწავლის, ათვისებისა უნარი; უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;

ღირებულებები: შეუძლია ახალი ცოდნის შექმნის გზით, იკვლიოს მედიის და მასობრივი კომუნიკაციის სფეროსთან დაკავშირებული ღირებულებები და შეიმუშავოს მათი დამკვიდრების გზები. მათ შორის, კვლევის ინოვაციური მეთოდები და მიდგომები გამოიყენოს კვლევის შედეგებსა და საექსპერტო შეფასებებში ისეთი დარგობრივი პრინციპების დაცვისას,

როგორიცაა: ხარისხიანი ჟურნალისტიკა და პროფესიული სტანდარტის დაცვა; ეთიკური ნორმების, ადამიანის უფლებების დაცვა, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და სხვ.; როგორც მკვლევარი, თავისი საქმიანობის ფარგლებში, ამკვიდრებს და იცავს აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

VII. პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი **მარიამ გერსამია**

VIII. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. ვერბალური;
2. დისკუსია/დებატები;
3. წყაროებთან მუშაობა;
4. დემონსტრირება;
5. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.
6. წერითი მუშაობა.

პროფესორი შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს, კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად.

IX. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა (შეფასების ზოგადი წესი):

დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. დოქტორანტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის შესაძლებელია შეფასების შემდეგი სისტემის გამოყენება:

ქულები	შეფასება
summa cum laude	ფრიადი(შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს) აღემატება
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

X. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები:

სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს - 140 კრედიტი.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი) გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი (სავალდებულო);
- აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) - 5 კრედიტი (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია);
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი (სავალდებულო);
- პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი (სავალდებულო)

სასწავლო კომპონენტის სხვა ელემენტები არჩევითია.

- RESEARCH METHODS IN MASS COMMUNICATION მასკომუნიკაციის კვლევის მეთოდები - 3 კრედიტი;

- დოქტორანტის სემინარი – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 10 კრედიტი;
- შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში 5 კრედიტი;
- სოციალური კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 5 კრედიტი;
- მეცნიერების მენეჯმენტი – 5 კრედიტი;
- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა – 10 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები– 10 კრედიტი;
- საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები – 5–25 კრედიტი;
- სხვა სახის აქტივობა 5–15 კრედიტი;

ინდივინდუალურ სასწავლო გეგმას, საუნივერსიტეტო სტანდარტის სქემის მიხედვით, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 3 კოლოქვიუმს (თვითოეულისთვის 20 კრედიტი) 60 კრედიტის ოდენობით და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 80 კრედიტი.

XII. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.

XIII. სადოქტორო პროგრამაზე მისაღები დოქტორანტების რაოდენობა

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამაზე მიიღება არა უმეტეს 5 დოქტორანტისა.

XIV. სადოქტორო პროგრამაში მონაწილე პროფესორები

სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ძირითადად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სრული და ასოცირებული პროფესორები, მოწვეული უცხოელი პროფესორები.

XV. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დანართი N1.

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)/ განაცხადის ფორმა

პროექტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა -200

ბ) **კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები** (საჭიროების შემთხვევაში): სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი.
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა – 400.
თარიღი: